MES 7 23 0000898778

18/07/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04. 07. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:17 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:55 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**

4. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
14. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
17. თამარ სირაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
18. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	I, II
2	სამად ხაკსარმაღამი		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
3	გიორგი ღაღანიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2	პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი	III
4	მარინა ჩავლეიშვილი		ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III
5	მანანა ლობჟანიძე		ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III
6	საბრინა ფაგუა		პროფესორი	III
7	ია ნაცვლიშვილი		ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	III
8	ქეთევან ჩიტალაძე		ასისტენტ პროფესორი, თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	III
9	იოსებ ხელაშვილი		პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი	III
10	ნანა კაციტაძე		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა	III
11	მერაბ ხოხობაია			III

			ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა	
12	ვალერი არღუთაშვილი		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა	III
13	მამუკა ხუსკივაძე		ასოცირებული პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრა, თსუ ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე	III
14	შოთა ფოთოლაშვილი		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
15	ნინო ქიმერიძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	III
16	ქრისტინე ჩიხლაძე		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	III
17	ნატალია ბარათელი		თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მრჩეველი	III
18	მზია ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
19	ნინო ჟვანია		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
20	ელენე ჟურავლიოვა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	IV
21	თამარ ბარბაქაძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV

22	კახაბერ კორძაია	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	V
23	მარინა გედევანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
24	გიორგი ხატიძე		სამართლის ფაკულტეტის დეკანი	V
25	ალექსანდრე კალანდაძე		სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	V
26	ალექსანდრე ნონეშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	VI
27	მადონა მშვილდაძე		პროგრამის კომიტეტის წევრი	VI
28	იოსებ კელენჯერიძე		სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	VI
29	სოფიო ხუნდაძე		ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ბაქარი დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ირაკლი კორძაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ია ბუცხრიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მაგდა ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	ლევან ჭაბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
12	მერაბი ჭუმბურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
13	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
14	ნინო სანადირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
15	საბა ყაფლანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:17 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „უჯრედული ნეირომეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს ევროპის უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

საბჭოს თავმჯდომარემ გოდერჯი ბუჩაშვილმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით. რადგან დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი მოიცავდა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხს და სხდომას განხილვის პროცესში ვერ ესწრებოდა პარტნიორი უნივერსიტეტის (ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2) წარმომადგენლები და მათთანაც აუცილებელი იყო რიგი საკითხების დაზუსტება, მესამე საკითხი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გადატანილი იქნა მეექვსე საკითხად.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „უჯრედული ნეირომეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ევროპის უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული ქიმია (Pharmaceutical Chemistry)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტის IV შენობა, კოსტავას ქუჩა 77 ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული ქიმია (Pharmaceutical Chemistry)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია 0916
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტის IV შენობა, კოსტავას ქუჩა 77 ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი და მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ია ფანცულაია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის მიმართ გაიცა მსგავსი რეკომენდაციები. "ფარმაცევტული ქიმია" არის სამაგისტრო პროგრამის სათაური, თუმცა სტუდენტს მაგისტრის ხარისხი ენიჭება ბიოფარმაციაში. პროგრამის მიზნებისა და კურსების სწავლის შედეგების მიხედვით უნდა მოხდეს მაგისტრის ხარისხის მინიჭება იმიტომ, რომ სტუდენტს ბიოფარმაციაში ხარისხის მოსაპოვებლად უწევს დამატებითი კურსების გავლა. დაწესებულებას „შრომის ბაზრის კვლევის“ მაგივრად წარმოდგენილი ჰქონდა ისეთი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა კითხვას თუ რაში გამოიყენებდა მაგისტრი თავის ცოდნას და რა მიმართულებით დასაქმდებოდა. პროგრამაში იკვეთება ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ თვითშეფასებაში. მასში ძირითადი კურსები წარმოდგენილია 84 საათით, ხოლო არჩევითი 33 საათით. პროგრამაში კი სავალდებულო კურსები წერია 70 საათი, ხოლო არჩევითი 20 საათი. შესაბამისად, თვითშეფასების დოკუმენტი არ იყო შესაბამისობაში პროგრამასთან. პროგრამაში ჩანაწერის მიხედვით, სწავლის პროგრამის სწავლის შედეგებად გამოტანილი იყო „სამკურნალო ქიმიის“ შედეგები. დაწესებულებამ უნდა გამოასწოროს ეს ხარვეზი და სწავლის შედეგები მკაფიოდ ჩამოაყალიბოს. გარდა ამისა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უნდა იყოს კარგად ჩამოყალიბებული, კერძოდ განისაზღვროს წესი, რომლითაც შემოწმდება სტუდენტი პროგრამაზე დაშვების დროს. პროგრამაში წარმოდგენილია 10-10 კრედიტიანი სასწავლო კურსების მოდულები, თუმცა ყველა არის ერთგვაროვანი. პროგრამას აკადემიური მოსწრების მქონე ფაკულტეტის ახალი წევრებით დაკომპლექტება სჭირდება, კერძოდ ინტერდისციპლინარული მიმართულების განათლების მქონე პროფესორებით. ასევე, გასაახლებელია სილაბუსები იმისათვის, რომ ჩანაცვლდეს 2009 და 2007 წლის ლიტერატურა ახალი ლიტერატურით. სასურველია, რომ მოხდეს ხელშეკრულების გაფორმება იმ ობიექტებთან, სადაც განხორციელდება კვლევითი საქმიანობა. პროგრამის ხელმძღვანელი არის უცხოელი, რომელსაც კარგი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება გააჩნია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ხარისხის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი იზიარებს. აღნიშნული რეკომენდაციების ხარისხი განსხვავებულია წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებისაგან. პროგრამა საჭიროებს მცირე ხარვეზების გამოსწორებასა და გადამუშავებას, რათა იფუნქციონიროს გამართულად. დაწესებულებას არ მიეცა რეალური შესაძლებლობა, რომ ექსპერტი გაცნობოდა უნივერსიტეტის მიერ შესრულებულ რეკომენდაციებს, თუმცა მომავალი მონიტორინგის განხორციელების გზით მისთვის ცნობილი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტს მიმართა, რომ პროგრამისა და რეკომენდაციების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა საბჭოს წევრებისათვის. ია

ფანცულაიამ განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამოსასწორებლად უნივერსიტეტს შესაძლებელია დასჭირდეს რამდენიმე თვე. პროგრამა ატარებს კვლევით ხასიათს. ის ძვირადღირებული აპარატურა, რომელიც სწავლის პროცესისათვის არის საჭირო, დაწესებულებას აქვს თუ არა ბუნდოვანია. გარდა ამისა, მის დასამონტაჟებლად და მასზე მომუშავე პერსონალის დასასაქმებლად ერთი წელიც კი შეიძლება არ იყოს საკმარისი. თუ დაწესებულებას ეს აპარატურა არ გააჩნია, თუმცა ხელშეკრულება დადებული აქვს ისეთ ორგანიზაციასთან რომელსაც ეს აპარატურა აქვს, კარგი იქნება ამ უკანასკნელის არსებობა აისახოს დეტალურად დოკუმენტებში. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უცხოელი ხელმძღვანელი თავის უფლებამოსილებას ადგილზე თუ „Online“ განახორციელებს. გარდა ამისა, რა კრიტერიუმებით მოწმდება კომისიის მიერ პროგრამაზე მისაღები კანდიდატი. საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ დაწესებულებას მიმართა, რომ სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა საბჭოს წევრებისათვის. გარდა ამისა მას აინტერესებდა, აქვს თუ არა დაწესებულებას დადგენილი სტუდენტის გამოცდაზე დაშვების მინიმალური ზღვარი. ასევე, სასწავლო სილაბუსებში არ იკვეთება ავტორის ვინაობა და რა არის ამის მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტის ვიზიტი იყო შეზღუდული ფორმატით განხორციელებული. ის არ იმყოფებოდა დაწესებულებაში, არამედ დოკუმენტებით გაეცნო პროგრამას. „საქართველოს უნივერსიტეტს“, კერძოდ „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტს“ გააჩნია ძალიან დიდი რესურსი. პროგრამით გათვალისწინებულია უნივერსიტეტში ლაბორატორიების მოთავსების საკითხი, რომელიც დაწესებულებას აქვს და ემსახურება როგორც საბაკალავრო, ისე სადოქტორო პროგრამას. გარდა ამისა, რამდენიმე სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტთან“ თანამშრომლობს.

არჩილ ჯანგირაშვილმა მაგისტრატურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობს პრაქტიკა, რომელიც უნივერსიტეტში რეგულირებულია. პროგრამაზე ჩასარიცხად კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ერთიანი საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა. გარდა ამისა, მან უნდა გაიაროს გასაუბრება სპეციალობაში და ჩააბაროს ინგლისური ენის კომპეტენციის დამდგენი გამოცდა. ამის შემდეგ ის წარდგება კომისიის წინაშე, რომელიც ჩაატარებს გამოცდას. სადოქტორო პროგრამაზე ჩასარიცხად წინასწარ ცხადდება თემები, რომლებიც წელიწადში ორჯერ გამოაქვთ მკვლევრებს უნივერსიტეტის საიტზე. პოტენციური დოქტორანტი ირჩევს შესაბამის თემას, წარმოადგენს საბუთებს და მასთან ერთად წერს კონცეფციას, რომელსაც აქვს თავისი კრიტერიუმები, კერძოდ რა თემა უნდა იყოს კონცეფციისთვის გათვალისწინებული, აქვს თუ არა კანდიდატს კვლევითი უნარები და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელი სამად ხაკსარმაღამი ცხოვრობს საქართველოში, თუმცა პერიოდულად უბრუნდება თავის ქვეყანას. პროგრამის სათაურთან მიმართებით ხარვეზი არ იყო გამოკვეთილი. როვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, კვალიფიკაციის მიზნებიდან უნდა გამოდიოდეს და ამ თვალასაზრისით, დაწესებულებამ აირჩია იმ კვალიფიკაციის ქვეშ კონკრეტული მიმართულება. უნივერსიტეტისთვის მთავარია, რომ პროგრამას გააჩნდეს ის კომპეტენციები, რომლებიც დადგენილია მინისტრის ბრძანებულებით. გარდა ამისა, სილაბუსის „ავტორს“ უნივერსიტეტი ეძახის „კურატორს“. “კურატორი“ არ არის მხოლოდ სილაბუსის ავტორი, არამედ ის უწევს ადმინისტრირებას შესაბამის სილაბუსს. გარდა ამისა, „კურატორია“ პირი, რომელიც კითხულობს ლექციას და უზრუნველყოფს სხვა ლექტორებთან საგნის შინაარსობრივ კომპეტენციურ მხარეს. საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტს. მას აინტერესებდა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია თუ დარჩება „ბიოფარმაცია“, პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგები იქნება თუ არა შესაბამისი მისანიჭებელი კვალიფიკაციის. ექსპერტმა ია ფანცულაიამ უპასუხა, რომ თუ პროგრამის სტრუქტურა და სწავლის შედეგები არ იქნება მოყვანილი მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში, კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო იქნება

დამატებითი კურსების დამატება, კერძოდ „ბიოქიმიური ინჟინერიის“, „ბიოპროცესების ინდუსტრიის“ და სხვ. არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ეს კურსები დამატებულია, თუმცა ექსპერტს არ მიეცა საშუალება რომ გასცნობოდა დამატებით კურსებს. სამაგისტრო დებულებით რეგულირდება ის მინიმალური ზღვარი, რომელიც უნდა დააგროვოს სტუდენტმა, რათა დაიშვას გამოცდაზე, ხოლო სილაბუსში მოცემულია ის თუ რა კომპონენტებით ხდება სტუდენტის შეფასება და რამდენია ქულობრივი განაწილება შესაბამისი კომპონენტებისა. სანამ სტუდენტი დაიცავს სადოქტორო ნაშრომს მან უნდა განახორციელოს რამდენიმე აქტივობა, კერძოდ მონაწილეობა უნდა მიიღოს კონფერენციაში, განახორციელოს რამდენიმე სემინარი თავის შედეგებთან მიმართებით აკადემიურ პირებთან როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე უნივერსიტეტის გარეთ. გარდა ამისა, დოქტორანტმა უნდა შეასრულოს მინიმუმ 2 სტატია, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს გავიდეს დაცვაზე. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო კი ამოწმებს შესრულდა თუ არა დებულებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები და რა ხარისხით. ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა ტიპის ჟურნალში ქვეყნდება დოქტორანტის სტატია და არის თუ არა გათვალისწინებული იმპაქტ ფაქტორი. არჩილ ჯანგირაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს იმპაქტ ფაქტორი, თუმცა სხვადასხვა სპეციალობაში იმპაქტ ფაქტორი განსხვავებული რაოდენობისაა. დაწესებულება აფინანსებს არამარტო აკადემიურ პერსონალს, არამედ დოქტორანტს, რომელიც მონაწილეობს კვლევაში. ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ განაცხადა, რომ პირველ სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი იყო დოქტორანტურის დებულება, რომელშიც მითითებული იყო, რომ 2 სტატიას აქვეყნებს საერთაშორისო ჟურნალში დოქტორანტი, რომლის შესახებ ინფორმაცია გასაუბრებისას დოქტორანტებმაც დაადასტურეს, თუმცა დებულებაში არ იყო დადასტურებული, რა ტიპის ჟურნალში ქვეყნდება. რეკომენდაცია გაიცა იმასთან დაკავშირებით თუ რა ტიპის ჟურნალში უნდა გამოქვეყნებულიყო სტატია და რა ფორმით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ დოქტორანტურის დებულებაში იმიტომ არ იყო ასახული, რომ უნივერსიტეტი მრავალპროფილიანია, აქვს იურიდიული მიმართულების პროგრამა - „სამართალი“ და ამ პროგრამის დოქტორანტებისთვის რთულად აღსაქმელი იქნებოდა ასეთი ტიპის ჟურნალებში და ბაზებში გამოქვეყნება სტატიების. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დღეს არსებითად შეცვლილია დაწესებულების პოზიცია ამ მიმართულებით. არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ იმპაქტ ფაქტორის პროცენტული მაჩვენებელი არის 25, ხოლო „სმიპი“ 05. ექსპერტმა, ქრისტინე ჩიხლაძემ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გასაუბრების კომპონენტი, რომელიც დაწესებულია ერთ-ერთ დაშვების წინაპირობად ბევრი პროგრამისთვის არის საჭირო. წინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა შეფასების კრიტერიუმები თუ რა კომპონენტებით ფასდებოდა სტუდენტი. დადგინდა, რომ მოტივაციის შეფასების და გასაუბრების კრიტერიუმები ვერ უზრუნველყოფდა დარგობრივი კომპეტენციების შემოწმებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 15:09
დასრულებისდრო: 15:45
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლით ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 1
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების სრულად მისაღწევად დაემატოს ფარმაცევტული მენეჯმენტის-მარკეტინგის ან ფარმაცევტული ბიზნესის საკითხები, სამრეწველო ფარმაციის და ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსი/კურსები;
2. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები გაზიარებული იყოს ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარისათვის;
3. რეკომენდირებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება;
4. რეკომენდირებულია ფარმაცევტული ქიმიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს;
5. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების დაზუსტება და მსგავსი შედეგების გაერთიანება. რაც უფრო შესაძლებელს გახდის სწავლის შედეგების შეფასებასა და მონიტორინგ;
6. რეკომენდირებულია განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის;
7. სწავლის შედეგების ქვერუბრიკა ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის შესაბამისი გაზომვადი მოქმედების გამომხატველი ზმნების საშუალებით;
8. რეკომენდირებულია პროგრამას ძირითად სასწავლო საგნად დაემატოს ფარმაცევტული მარკეტინგი- მენეჯმენტი ან ფარმაცევტული ბიზნესი;
9. რეკომენდირებულია პროგრამაში არსებობდეს განმარტება არჩევით კურსებთან დაკავშირებით;
10. რეკომენდირებულია ჩატარდეს სიღრმისეული ბაზრის კვლევა;
11. რეკომენდირებულია გადაიხედოს პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;
12. რეკომენდირებულია, პროგრამის დოკუმენტში დაშვების წინაპირობები გასწორდეს კანონმდებლობის შესაბამისად;
13. რეკომენდირებულია კვლევითი კომპონენტის გასაძლიერებლად პროგრამას დაემატოს, მაგ. კვლევის დიზანის ან კვლევის მეთოდებს შემსწავლელი სასწავლო კურსები; სამეცნიერო წერის საფუძვლები, მონაცემთანა ანალიზი და ა.შ;
14. რეკომენდირებულია პროგრამას დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი, მაგ. სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ანალიზში;

15. რეკომენდირებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების და ხელშეკრულებების გაფორმება დარგის სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციებთან;
16. რეკომენდირებულია პროგრამაში სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს საგნის სპეციფიკა;
17. რეკომენდირებულია პროგრამის შეფასების მეთოდები, ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
18. რეკომენდირებულია სილაბუსში მიეთითოს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა (მინიმალური ქულა) და ჩაბარების მინიმალური ზღვარი;
19. რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება;
20. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;
21. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;
22. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;
23. რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.);
24. რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა;
25. რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის;
26. რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი

ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.);

27. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატული მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;
28. რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით;
29. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას;
30. რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:
31. რეკომენდირებულია დაზუსტდეს და შემცირდეს პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ რაოდენობად განისაზღვროს მაქსიმუმ 8-10 მაქსიმალურად მკაფიო, ნათელი და რეალისტური სწავლის შედეგი;
32. რეკომენდირებულია მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;
33. რეკომენდირებულია შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

რჩევები:

- სასურველია არჩევითი კურსების გამრავალფეროვნება;
- სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
- სასურველია სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რაოდენობის გაზრდა-ჩატარება;

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლით ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ბ” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფარმაცევტული ქიმიის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები იყოს მიღწევადი და აქედან გამომდინარე აუცილებელია პროგრამას დაემატოს ფარმაცევტული ტექნოლოგიის სასწავლო კურსი / კურსები;
2. რეკომენდირებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს დაემატოს დამსაქმებელი;
3. რეკომენდირებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერება;
4. რეკომენდირებულია პროგრამაში და სილაბუსებში რუბრიკა „ ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია“ ჩამოყალიბდეს სწავლის შედეგების გაზომვადი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
5. რეკომენდებულია მოხდეს სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და მორგება პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. აღნიშნული ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კურსდამთვრებულთა დარგობრივი კომპეტენციების სწორად ასახვას ძირითადი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობა ავტონომიურობის შედეგებთან მიმართებით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების შესაძლებლობების განსაზღვრას;
6. რეკომენდირებულია პროგრამაში გაკეთდეს ჩანაწერი/განმარტება არჩევით საგნებთან დაკავშირებით, რათა ჯამური კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 60 კრედიტს;
7. რეკომენდირებულია შემცირდეს სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა და გაიზარდოს კვლევითი კომპონენტი, კვლევის მეთოდების და მეთოდოლოგიის სასწავლო კურსების შესწავლას;
8. რეკომენდირებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს, მაგალითად, მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები ფარმაციაში; თანამედროვე ფარმაცევტული ტექნოლოგიები; სამკურნალო სუბსტანციების ქიმიურფარმაცევტული,

ფარმაკოგნოსტური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; სოციალური და კლინიკური ფარმაცია; ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაკოლოგია, რათა პროგრამის კურიკულუმი შეესაბამებოდეს ფარმაციის დოქტორის კვალიფიკაციას;

9. რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში ინგლისურ ვერსიაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამის კრედიტებში მოცულობასთან დაკავშირებით;
10. რეკომენდებულია, პროგრამის დოკუმენტში გაიწეროს და დაკონკრეტდეს საერთაშორისო სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების გამოქვეყნების პირობები;
11. რეკომენდებულია გაიზარდოს სამეცნიერო კომპონენტის სწავლების მიზნით შემუშავებული სასწავლო კურსები;
12. რეკომენდირებულია პრაგრამაში და წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები იყოს იდენტური;
13. რეკომენდირებულია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგები, სრულად უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას;
14. რეკომენდირებულია, სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გაწერა კურსის სპეციფიკაზე დაყრდნობით და მათი სრული გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში;
15. რეკომენდირებულია, შეფასების მეთოდები გადაიხედოს და ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
16. რეკომენდირებულია ქმედით მექანიზმად იქცეს საკონსულტაციო საბჭო და უზრუნველყოფილ იქნას ყველა პროგრამის დოქტორანტისთვის მისი ხელმისაწვდომობა;
17. რეკომენდირებულია გაფორმდეს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა კვლევით ლაბორატორიასთან და ფარმაცევტულ საწარმოსთან;
18. რეკომენდებულია გაგრძელდეს მატერიალურ ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება;
19. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი. სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელი აქტივობებისთვის შესაბამისი თანხების გამოყოფა გათვალისწინებულ იქნას პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში;
20. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლება-მოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას;
21. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე, ისევე როგორც პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მიღებული შეფასების შედეგების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით გამოყენებაზე;
22. რეკომენდებულია ქმედუნარიან, რეალურ მექანიზმებად იქცეს პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო. მნიშვნელოვანია აღნიშნული საბჭოები დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნულის ალტერნატივად შესაძლებელია იქცეს პროგრამის ე.წ. „აკადემიური კომიტეტი“, სადაც წარმოდგენილი იქნება პროგრამის შემუშავებითა და განვითარებით დაინტერესებული ყველა მხარე (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, უცხოელი ექსპერტები (საჭიროების შემთხვევაში) და სხვ.);

23. ეკომენდებულია, გადაიხედოს დოქტორანტურის დებულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სტატიის გამოქვეყნების პირობები და კრიტერიუმები. სახელდობრ, რეკომენდებულია დისერტაციის დაცვის აუცილებელი წინაპირობა გახდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება, კერძოდ კი ა) რეფერირებადი (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), ბ) ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის ან Web of Science-ის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების პროგრამების დოქტორანტებისთვის შესაძლებელია ამავე მიზნით შეთავაზებულ იქნას ERIH PLUS) ბაზებში;
24. რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული ანალიზური დოკუმენტების შემუშავების, ისევე როგორც თვითშეფასების ანგარიშში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში აქტიურად ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად თვითშეფასების ჯგუფის ყველა წევრი, რათა მინიმუმამდე შემცირდეს არასრულყოფილი დოკუმენტაციის მომზადებისა და წარდგენის რისკი. ამავე მიზნით რეკომენდებულია შემუშავდეს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის რეგლამენტი და თითოეული წევრის უფლება მოვალეობების აღწერილობა;
25. რეკომენდებულია დამსაქმებელთა მოთხოვნების დადგენის მიზნით შეირჩეს დამსაქმებელთა ის რაოდენობა, რაც საჭიროა კვლევის სტანდარტების გათვალისწინებით ვალიდური და რეპრეზენტატული მონაცემებისა თუ ინფორმაციის მიღებისთვის;
26. რეკომენდებულია გარე ექსპერტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შეფასების დოკუმენტის შინაარსი არ ატარებდეს ერთგვარი მხარდამჭერი წერილის ხასიათს. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასების კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებაში. შესაბამისად, რეკომენდებულია, ქართველი და უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის გარე შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით ან განისაზღვროს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახული იქნება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შესაფასებელი თემები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, სილაბუსის შინაარსი/სტრუქტურა/კრედიტების მოცულობა/შეფასების სისტემა, პროგრამის სწავლა-სწავლებისაა და შეფასების მეთოდები, პროგრამის სამეცნიერო კომპონენტი, ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი და სხვ.);
27. რეკომენდებულია, დაიხვეწოს შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი. შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდეს გამართული მეთოდოლოგიით, რათა მიღებულ იქნას რელევანტური და რეპრეზენტატულ მონაცემები, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის აკადემიურ გუნდსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას განსაზღვროს პროგრამის სამეცნიერო თუ გამოყენებითი ღირებულება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;
28. რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ, კერძოდ კი, დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით.

29. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგროც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები. აღნიშნული ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის გაზრდასა და ანგარიშვალდებულებით სისტემის გაუმჯობესებას;
30. რეკომენდებულია პროგრამის მონიტორინგის პროცესების გამართვის მიზნით:
31. მოხდეს კურიკულუმის რუკის გადახედვა და პროგრამის გუნდის (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დარგის ექსპერტი და სხვ.) ჩართულობით მისი მოდიფიცირება;
32. შემუშავდეს ფარმაცევტული ქიმიის ახალი სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების და ყველა საჭირო კომპონენტისა თუ შეფასების ეტაპის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრით.

რჩევები:

- სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროგრამაში გაიწეროს უფრო ვრცლად, დაკონკრეტდეს მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რადგან იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი;
- სასურველია პროგრამაში მითითებული იყოს პლაგიატის აღმოფხვრასთან დაკავშირებული საკითხები;
- დოქტორანტურის სტუდენტებთან უფრო ხშირი კონსულტაციების ჩატარება სტუდენტების აკადემიური საქმიანობის და კარიერის მომავლის დაგეგმვის თაობაზე, რათა ყველა სტუდენტმა კარგად იცოდეს რა დახმარების მიღება შეუძლიათ მათ უნივერსიტეტის მხრიდან საკუთარი ნაშრომების საერთაშორისოდ წარმოჩენის თვალსაზრისით, ასევე ჰქონდეთ გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ ვერ მოახერხებენ სადოქტორო პროგრამის მოთხოვნების შესრულებას წინასწარ განსაზღვრულ ვადებში;
- სასურველია ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში, მაშინ როცა დოქტორანტის სამეცნიერო კვლევის ემპირიული ბაზა არის ინგლისურენოვანი, მას მოეთხოვებოდეს ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა. სასურველია თუ საკითხთან დაკავშირებით გადაიხედება და დაზუსტდება დოქტორანტურის დებულების 1-ლი თავის, მე-2 მუხლის შესაბამისი ჩანაწერი;

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „უჯრედული ნეირომეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	უჯრედული ნეირომეცნიერება / Cellular Neuroscience

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №70, 28.12.2017
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	42
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო, ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ირინე ებრალიძემ და მარინე მაისურაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, მაგდა ალანია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროფესორის

ასისტირების წინაპირობების დაზუსტებას, ხოლო მეორე რეკომენდაცია სადოქტორო სემინარების მიზანს და სწავლის შედეგების შესაბამისობაში სასწავლო კომპონენტის მოთხოვნებთან მოყვანას და გამიჯვნას სადოქტორო საკვლევი თემისაგან. დაწესებულების მიერ ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ელენე ჟურავლიოვა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები საბჭოს მიერ იყო გაცემული. დაწესებულების მიერ ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებული და შესრულებულია.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:21
დასრულების დრო: 16:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „უჯრედული ნეირომეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „უჯრედული ნეირომეცნიერების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი / Law
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.02.2021, 53932
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	

8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სამართალი 0421
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა, 73, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ნინო მესხიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის ფარგლებში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ადგილზე დაწესებულებაში 2023 წლის 03 მაისს. უსდ-ში ექსპერტთა ვიზიტი გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეხვდა წარმომადგენლებს, უნივერსიტეტი ღია იყო თანამშრომლობისთვის, რის გამოც ვიზიტი ნაყოფიერად და წარმატებით დასრულდა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პირველი სტანდარტი სრულად, მეორე სტანდარტი სრულად და მეოთხე სტანდარტის პირველი და მეოთხე ქვესტანდარტი. პროგრამის მიმართ გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით რეკომენდაცია შესრულებულია, რომელსაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის გათვალისწინებული დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, მარინა გედევანიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს დადებითი დასკვნისა და არგუმენტირებული

პოზიციის გაზიარებისათვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმში უფრო დეტალურად სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციის ასახვას. აბსოლუტურად ყველა სილაბუსს ახლავს რუკა, რომელშიც მითითებულია კონკრეტულ სასწავლო კურსს რა შედეგზე გაჰყავს სტუდენტი და შეფასების რა მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენება ხდება. უნივერსიტეტი საჭიროდ არ თვლის, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია, რომელიც ყველა სილაბუსს გაჩნია, გადმოტანილი იყოს სწავლის შედეგების მექანიზმში. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია და ნაცვლად 8 გვერდისა გამოვიდა 44 გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ცნობილია ექსპერტებისთვის. სწავლის შედეგების მექანიზმში დამატებულია სამიზნე ნიშნულიდან როგორი გადახრის შემთხვევაში იწყება პროგრამის მოდიფიცირება. ყველა პროგრამაში სამიზნე ნიშნული 75%-ია და 5%-დან 10%-იანი გადახრის შემთხვევაში თუ ვერ მოხერხდება ამ მექანიზმში დადგენილი შედეგების მიღწევა და სტუდენტთან რაოდენობა 10%-ი ვერ მიაღწევს კონკრეტული სასწავლო კურსებით დადგენილ სწავლის შედეგებს, დაიწყება პროგრამის მოდიფიცირება. ექსპერტმა, ნონა ზუბიტაშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში ხდებოდა მთლიანად სასწავლო კურსში მიღებული შეფასების შემოწმება მაშინ, როდესაც მიზანშეწონილია იმ კონკრეტულ დავალებებში მიღებული შეფასებები შემოწმდეს და მოხდეს მათზე დაკვირვება, რომელი დავალებებიც გადის კონკრეტულ სასწავლო შედეგზე. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში არის დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ ასრულებს სტუდენტი დავალებას, მისი შესრულებით რა ქულას იღებს, როგორია შეფასების მეთოდი, სისტემა, კრიტერიუმი და კონკრეტული დავალებების ადეკვატური შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და მეთოდები. ამ ინფორმაციის გადმოტანა სწავლის შეფასების შედეგების მექანიზმში არ შეიძლება იმიტომ, რომ მასში აღიწერება შემაჯამებელი შედეგები, კერძოდ სტუდენტი როგორ გადის სწავლის პროგრამით გაწერილ შედეგზე.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:44
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე საბჭოს ერთმა წევრმა ვერ მიიღო ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

5. მეხუთე საკითხი: შპს ევროპის უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია / Archaeology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის ბაკალავრი / Bachelor of Archaeology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გურამიშვილის გამზ. №76, თბილისი, 0141, საქართველო სარაჯიშვილის ქ. №17, თბილისი, 0189, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, ლევან ჭაბაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს-ევროპის უნივერსიტეტში არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად შედგა 2023 წლის 12 აპრილს. უნივერსიტეტმა ფუნქციონირებისათვის ჩაატარა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები და განახორციელა დიდი ინვესტიცია უნივერსიტეტის ტექნიკური აღჭურვისათვის. დაწესებულების ადმინისტრაციას მტკიცე პოზიცია აქვს, რომ ხელი შეუწყოს ამ პროგრამის განვითარებას. პროგრამის მიმართ თავდაპირველად გაიცა 24 რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შემდეგ რამდენიმე რეკომენდაცია ამოღებული იქნა და დარჩა 18 რეკომენდაცია. საგანი „საველე არქეოლოგია“ არ შეიძლება ჩანაცვლდეს „არქეოლოგიის საფუძვლებით“ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი არის ზოგადი საგანი, რომელიც ისწავლება პირველ სემესტრში. უნივერსიტეტს პრაქტიკა წარმოდგენილი ჰქონდა 3 ნაწილად, რომლებშიაც იკვეთებოდა ხარვეზები, კერძოდ პრაქტიკაში საუბარი იყო ძირითადი მეთოდებისა და წესების ახსნაზე ისე, რომ ლიტერატურა არ იყო მითითებული, თუმცა პრაქტიკას ახორციელებს კვალიფიციური სპეციალისტები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ რეკომენდაცია ნაწილობრივ გაიზიარა. ლევან ჭაბაშვილის თქმით, პროგრამა გადატვირთულია ისტორიული დისციპლინებით. დარგობრივი ან დარგის მომიჯნავე სასწავლო კურსები ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი პროგრამაში, რომელთა დაკავშირებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. „საქართველოს ისტორია“ და „წყაროთმცოდნეობა" წარმოდგენილია რამდენიმე ნაწილად, რომელიც არქეოლოგიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ის საგნები, რომლებიც უკავშირდება ამ დარგს წარმოდგენილია არჩევითი კურსების ჩამონათვალში. ექსპერტების მიერ არის ისეთი რეკომენდაციები გაცემული, რომლებიც მალე გამოსწორებადია. მაგალითად, თემატიკის გადაფარვა სხვადასხვა სასწავლო კურსებში, ლიტერატურის ჩანაცვლება, პრეისტორიული საგნის ორ ნაწილად გაყოფა და ა.შ. აღნიშნულ რეკომენდაციებს დაწესებულება იზიარებს და ახლო მომავალში გამოასწორებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინება არის მნიშვნელოვანი პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამა მოითხოვს განახლებას, თუმცა ისეთი ხარვეზები არ იკვეთება პროგრამაში, რომ მათი გამოსწორება შეუძლებელი იყოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, სოფო ხუნდაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ რეკომენდაციების ნაწილი სრულად გათვალისწინებულია. პროგრამის მიმართ გაიცა 18 რეკომენდაცია, რომელიც შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით გაცემულია 3 რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაცია ზოგადია, ხოლო დანარჩენი ეხება კონკრეტული ლიტერატურის განახლებას კონკრეტულ სასწავლო კურსებში. კომპონენტი 1.1-ის 1-ელი რეკომენდაცია და კომპონენტი 1.2-ის 1-ელი და მე-3 რეკომენდაცია ეხება კურსდამთავრებულის ცოდნის გამოკვეთას მიზნებში და არა შედეგისა და მიზნების შეუსაბამობას. პროგრამის მიზნები გაწერილია ზოგადად, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგები დეტალურად. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ყველა შედეგის მიზნებში აღწერა იმიტომ, რომ რთული იქნებოდა მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. პირველი მიზანი, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში აღწერს ცოდნასთან დაკავშირებით შედეგს. მაგალითად, მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილება, საქართველოსა და მსოფლიო კულტურის სისტემაში მის ადგილს კვალიფიციურად განსაზღვრას. შესაბამისად, პროგრამაში წარმოდგენილია ცოდნასთან და უნართან

დაკავშირებული შედეგები. უნივერსიტეტს შედგენილი აქვს სწავლის შედეგების რუკა სასწავლო კურსების შედეგებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ამ რუკით დემონსტრირებულია კონკრეტული სასწავლო კურსები, რომლითაც სწავლის შედეგი მიიღწევა. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია ყველა საგნის დაფარვა განმტკიცების დონეზე არაერთი სასწავლო კურსით. სასწავლო კურსები სრულად აღწერს სასწავლო კურსის ფარგლებში გამოსამუშავებელ სწავლის შედეგებს. შესაბამისად, შედეგები აღწერილია სასწავლო კურსებში და ამ სასწავლო კურსების შედეგებთან შესაბამისობა დემონსტრირებულია სწავლის შედეგების რუკით. სწავლის შედეგებში იმ კომპეტენციების აღწერას, რომელსაც ადგენს კომპონენტი 1.2-ის მე-4 რეკომენდაცია, უნივერსიტეტი ამის საჭიროებას ვერ ხედავს იმიტომ, რომ მასში ერთი და იგივე ცოდნასა და უნარებზეა საუბარია, რომელიც უკვე მოცემულია სწავლის შედეგებში, თუმცა არის დამატებითი უნარი, კერძოდ ენის კომპეტენცია, რომელიც პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია. არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდებისა“ და „საველე პრაქტიკის“ გავლისას სტუდენტი გამოიმუშავებს იმ კვლევის უნარებსა და გადის იმ სწავლის შედეგზე, რომელსაც ითვალისწინებს პროგრამა, თუმცა მოხდება კვლევის მეთოდების ისე მოდიფიცირება, რომ უკეთესად გამოიკვეთოს სტუდენტის უნარები. პროგრამის ხელმძღვანელმა, ალექსანდრე ნონეშვილმა „საქართველოს ისტორიისა“ და „ქართულ ნუმიზმატიკის“ მიმართ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სახელმძღვანელოების ჩანაცვლების საკითხს აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია. „საქართველოს ისტორიასა“ და „ქართულ ნუმიზმატიკაში“ მხოლოდ ახალი ლიტერატურის დამატება მოხდება იმიტომ, რომ ყველა მსხვილ ქართველოლოგიურ ცენტრებში საქართველოს ისტორიის შესახებ ინფორმაციას იღებენ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან“ და წიგნის ახალი ვერსიები „საქართველოს ისტორიაში“ მხოლოდ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებზე“ დაყრდნობით იქმნება. უნივერსიტეტს გააჩნია პროფესიული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. გარდა ამისა, პროფესიული სამეცნიერო კვლევითი ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენაზე როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით. ასევე, შექმნილია ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი თავისი საექსპედიციო ფონდებით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ თუ აკრედიტაციის საბჭო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას პროგრამაზე სტუდენტების სწავლა მთლიანად დაფინანსებული იქნება დაწესებულების მიერ. პროგრამაზე ისწავლება ისეთი საგნები, რომლებიც არცერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ ისწავლება. მაგალითად, „არქეომეტრია“, „საერთაშორისო კანონმდებლობა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, „საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველო“. გარდა ამისა, სტუდენტი ეუფლება სწავლის პროცესში ეუფლება ლათინურ, ინგლისურ და ძველ ბერძნულ ენას. საერთაშორისო სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ინტეგრაცია კურსდამთავრებულებისა არ წარმოადგენს პრობლემას. „ლუნდის უნივერსიტეტმა“ გამოთქვა სურვილი 5 წლიანი ერთობლივი არქეოლოგიური პროგრამის განხორციელების შესახებ, რომელიც ცნობილია წყალქვეშა არქეოლოგიური გამოცდილებით. რეკომენდაცია იყო, რომ „ბიბლიური არქეოლოგია“, „წყალქვეშა არქეოლოგია“ და „არქეომეტრია“ შესულიყო სავალდებულო სწავლების ნუსხაში, თუმცა პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფისა და სილაბუსების ავტორების მოსაზრებით ამ ეტაპზე ეს საგნები უნდა იყოს არჩევითი სწავლების ნუსხაში. მაგალითად, „ბიბლიური არქეოლოგია“ არ არის სისტემური არქეოლოგიური საგანი, „წყალქვეშა არქეოლოგიის“ მიმართ კი სტუდენტების ინტერესი არის მინიმალური. შესაბამისად, საგნების არჩევით ნუსხაში ყოფნა უნივერსიტეტს დაანახვებს თუ როგორი მოთხოვნადობა იქნება ამ საგნების არჩევისა, რათა გადაიტანოს სავალდებულო სწავლების ჩამონათვალში. დაწესებულება აპირებს მხოლოდ 10 სტუდენტის მიღებას და კვლევების ჩატარებას არა მხოლოდ წელიწადში ერთხელ, არამედ ყოველი სემესტრის ბოლოს. სოფო ხუნდაძემ განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგობრივი დოკუმენტით დადგენილ პროგრამის სწავლის შედეგებთან. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს კარგი ბაზა იმისათვის, რომ

საველე არქეოლოგიური პრაქტიკა გაიარონ 3 ნაწილად. პროგრამის შინაარსზე მომუშავე ჯგუფი ფიქრობს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი პრაქტიკული უნარების გამომუშავებლად. რეკომენდაცია იყო, რომ ორი სასწავლო კურსის მიზნის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში მოყვანილიყო. უნივერსიტეტმა „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვასა და კონცერვაციასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ ახლო მომავალში მოყვანილი იქნება სასწავლო კურსის მიზნის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში, ხოლო მეორე სასწავლო კურსში, კერძოდ „არქეოლოგიურ საფუძვლებში“ დაწესებულება ფიქრობს, რომ სასწავლო კურსის მიზნის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაშია. ალექსანდრე ნონეშვილმა „საქართველოს ისტორიის“ სასწავლო კურსის 3 ნაწილად სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არ არსებობს არცერთი სახელმწიფო, სადაც ისტორია არ ისწავლებოდეს გაძლიერებულად. არქეოლოგი არის მეცნიერ-მკვლევარი და არა მიწის მთხრელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, არის თუ არა პროგრამა მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მან განაცხადა, რომ 1.5 კომპონენტში იკითხება შემდეგი რამ: „სასურველი იქნებოდა, რომ სასწავლო კურსების: „საქართველოს ისტორია I, II და III“ დასახელებაში დაკონკრეტებული ყოფილიყო საქართველოს ისტორიის ცალკეული შესასწავლი მონაკვეთის ქრონოლოგიური ჩარჩო...“. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის რჩევების ჩამონათვალში. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი და საჭიროა თუ არა ამ ჩანაწერის ფორმულირება რჩევად. ექსპერტთა დასკვნაში იკითხება, რომ არჩევითი კომპონენტებიდან მთელი რიგი საგნები უნდა გადავიდეს ძირითადი სწავლის სფეროს საგნების ჩამონათვალში იმისათვის, რომ პროგრამა გავიდეს მიზანზე და შეივსოს ძირითადი სწავლის სფეროსათვის საჭირო 120 კრედიტი. მას აინტერესებდა, რა შედეგი შეიძლება დადგეს თუ დაწესებულება არ გადაიტანს არჩევითი კომპონენტებიდან საგნებს ძირითადი სწავლის სფეროს საგნების ჩამონათვალში. გურანდა ჭელიძემ როგორც ექსპერტებს, ისე დაწესებულებას მოუწოდა, რომ „კავკასიის ხალხთა ისტორიის“ სილაბუსთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. მისი აზრით, ეს საგანი თავისი შინაარსითა და სწავლის შედეგებით „კავკასიის გეოპოლიტიკაა“ და არა „კავკასიის ხალხთა ისტორია“. ექსპერტმა, ლევან ჭაბაშვილმა არჩევითი კომპონენტებიდან საგნების ძირითადი სწავლის სფეროს საგნების ჩამონათვალში გადატანასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ექსპერტებს და დაწესებულებას განსხვავებული პოზიცია აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დარგობრივი და დარგის მომიჯნავე სპეციალობითი სასწავლო კურსები არის მცირე რაოდენობის. ძირითადი სწავლის სფეროს ჩამონათვალში რომ ყოფილიყო მეტი დარგობრივი სასწავლო კურსი აღარ გაიცემოდა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ რამდენიმე საგანი გადასულიყო ძირითადი სწავლის სფეროს ჩამონათვალში. პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რომელსაც ადასტურებს ხარისხის სპეციალისტის მიერ შეფასება, რომელი ექსპერტთა ჯგუფს თან ახლდა. ექსპერტმა, მერაბ ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ არქეოლოგიის კომპეტენციისათვის ჩამოსაყალიბებელი საგნების რაოდენობა არის მცირე. ისეთი მნიშვნელოვანი საგნები როგორებიცაა „არქეომეტრია“ , „ქრისტიანული არქეოლოგია“ და „წყალქვეშა არქეოლოგია“ უნდა იყოს არა არჩევითი საგნების ჩამონათვალში, არამედ ძირითადი საგნების კურსში. ძირითად საგნების კურსში არის საგანი „კვლევის მეთოდები“, რომელიც აბსოლუტურად არ შეესაბამება პროგრამას იმიტომ, რომ ის ეხება სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ იგივე დამოკიდებულება იყო „საქართველოს ისტორიის“ მიმართ. როდესაც არქეოლოგიის კომპეტენციისათვის გამომუშავების აუცილებელი საგნებია არჩევითი საგნების ჩამონათვალში, ხოლო დანარჩენი სასწავლო ბადე გადატვირთულია „საქართველოს ისტორიითა“ და „წერილობით წყაროებით“, აუცილებელია ის საგნები, რომლებიც არჩევითი კომპონენტის ჩამონათვალშია გადავიდეს ძირითად საგნების ჩამონათვალში, რათა პროგრამა მოვიდეს სტანდარტებთან შესაბამისობაში.

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ არის კარგი სახელმძღვანელოა დაწერილია 1970 წლებში. ამის შედეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და ახლებურად იქნა დანახული ბევრი საკითხი. შესაბამისად, აუცილებელია თანამედროვე ლიტერატურის დამატება და სტატიების განახლება. ლევან ჭაბაშვილმა განაცხადა, რომ დასკვნაში ფიქსირდება ბევრი ტექნიკური ხარვეზი, რომელზეც პასუხისმგებელია ექსპერტთა ჯგუფი. მისი თქმით, 1.5 კომპონენტში მოცემული ტექსტი უნდა ყოფილიყო რჩევის სახით ფორმულირებული. გარდა ამისა, „კავკასიის ხალხთა ისტორია“ თავისი შინაარსითა და სწავლის შედეგებით „კავკასიის გეოპოლიტიკაა“. საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ არქეოლოგიის პროგრამა თავისი შინაარსით განსხვავებულია სხვა პროგრამისგან, რომელიც მოითხოვს დიდი რესურსის გაღებას დაწესებულების მიერ. ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნაში კარგად არ იკვეთება არქეოლოგიის სკოლის ბიუჯეტის არსებობა. მას აინტერესებდა, რამდენად უზრუნველყოფს არქეოლოგიის სკოლის არსებული ბიუჯეტი პროგრამის მდგრად განვითარებას და რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს დაწესებულება პროგრამაზე. ლევან ჭაბაშვილმა უპასუხა, რომ დაწესებულება გეგმავს 10 სტუდენტის მიღებას პროგრამაზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას მტკიცე პოზიცია აქვს, რომ ხელი შეუწყოს პროგრამის განვითარებას. 5 წელია რაც ხორციელდება თანამედროვე არქეოლოგიური კვლევები დაწესებულებაში არსებული და უზრუნველყოფილი ტექნიკით. შპს ევროპის უნივერსიტეტი ერთ-ერთი დაწესებულებაა, უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც ინვესტიციას სწორი მიმართულებით ახორციელებს. დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფო ხუნდაძემ გურანდა ჭელიძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ 120 კრედიტში შედის როგორც ძირითადი, ისე არჩევითი საგნები. სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“, რომელიც პროგრამაშია წარმოდგენილი ემსახურება სოციალური კვლევის მეთოდების გამომუშავებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული კურსის სწავლა უნდა გამოირიცხოს. სოციალური კვლევის მეთოდები არის მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ სტუდენტმა გამოიმუშაოს ის უნარი, რომელიც ნაშრომის შედგენას სჭირდება. დოკუმენტებში სკოლის ბიუჯეტი იმიტომ არ არის ასახული, რომ უნივერსიტეტს სტუდენტთა მიღება ჯერ არ აქვს გამოცხადებული, რადგან აკრედიტაციის პროცესშია. უნივერსიტეტის მიზანს არ წარმოადგენს სტუდენტებისგან შემოსავლების მიღებას. პროგრამას ხარვეზები, რა თქმა უნდა აქვს, თუმცა უნივერსიტეტი მდგრადია, რომელსაც ადასტურებს დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტი. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში, მე-13 გვერდზე წერია შემდეგი რამ: „საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საფეხურს“ , „ნაკლებად ჩანს რა ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული“. მას აინტერესებდა, რამდენად ადეკვატურია ექსპერტთა მიერ აღწერილობით ნაწილში მოცემული ანალიზი 1.1 ქვესტანდარტთან. ექსპერტმა, მერაბ ჭუმბურიძემ უპასუხა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია ფარავს ერთმანეთს. პირველი სტანდარტის ქვესტანდარტები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მიზნები განსაზღვრავს შედეგებს, ხოლო შედეგები სასწავლო გეგმებსა და პროგრამის სტრუქტურას. „საბაკალავრო პროგრამის მიზნებში“ საუბარია უნარებზე და არა ცოდნაზე. ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას სასწავლო „მუზეუმთმცოდნეობასთან“ დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნულ კურსს 12 ვრცელი სწავლის შედეგი აქვს და აქედან 7 არ პასუხობს მუზეუმთმცოდენობის მიზანს და თემატიკას. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი. გარდა ამისა, სასწავლო კურსში ,,კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირებაში“ თემატიკის შესაბამისი ლიტერატურა არ არის მითითებულ ძირითად ლიტერატურათა ჩამონათვალში, არამედ მითითებულია დამხმარე ლიტერატურაში. მას აინტერესებდა, რამ განაპირობა აღნიშნული კურსის ძირითადი ლიტერატურის დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში არსებობა. ასევე, სიტყვა „ადგილობრივი“ უნდა იყოს თუ არა „ეროვნულით“ ჩანაცვლებული. ალექსანდრე ნონეშვილმა განაცხადა, სასწავლო კურსის სახელწოდებაში ,,კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი და საერთაშორისო

სამართლებრივი რეგულირებაში“ არის ტექნიკური ხარვეზი და ადგილობრივი სიტყვა „ადგილობრივი“ ჩანაცვლდება „ეროვნულით“. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ალექსანდრე ნონეშვილს. მას აინტერესებდა, მისი თანამდებობრივი პოზიცია უნივერსიტეტში. ალექსანდრე ნონეშვილმა უპასუხა, რომ აკადემიკოს ანდრია აფაქიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორია, ჟურნალ „არქეოლოგიის“ მთავარი რედაქტორი და ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო შპს ევროპის უნივერსიტეტში „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. სოფო ხუნდაძემ აღნიშნა, რომ ალექსანდრე ნონეშვილი აფილირებული პროფესორია ტექნიკური უნივერსიტეტის, ხოლო ევროპის უნივერსიტეტში პროფესორის პოზიცია უკავია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 18:11

დასრულებისდრო: 18:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე საბჭოს ორმა წევრმა ვერ მიიღო ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს, თუ რაც ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან;
3. რეკომენდირებულია მოვიდეს შესაბამისობაში მეორე და მეშვიდე შედეგები პროგრამის სტრუქტურასთან;
4. რეკომენდირებულია პროგრამის მიზანში აისახოს მეოთხე შედეგში მისაღები ცოდნა;
5. რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში

და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის;

6. რეკომენდებულია სწავლის შედეგების განსასაზღვრად და პროგრამის სპეციფიკურობის გასააზრებლად მომზადდეს ბაზრის კვლევა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის განმახორციელებლების ჩართულობით, პოტენციურ დამსაქმებელთა რეალური საჭიროებების გამოსავლენად;
7. რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში გადატანილი იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან შემდეგი სასწავლო კურსები: წყალქვეშა არქეოლოგია, ბიბლიური არქეოლოგია, ქრისტიანული არქეოლოგია და არქეომეტრია;
8. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსები: მაგალითად, კლასიკური ენები, ეთნოლოგიის საფუძვლები, ქართული ნუმიზმატიკა, წინარე ქრისტიანული ხანის ტორევტიკა. ისტორიული და პრაქტიკული ანთროპოლოგია, წინარექრისტიანული ხანის გლიპტიკა;
9. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში;
10. რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურათა ჩამონათვალი და დაემატოს თანამედროვე ავტორები და გამოცემები;
11. რეკომენდებულია სასწავლო კურსის "კავკასიის ხალხთა ისტორიის" მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან;
12. რეკომენდებულია, „მუზეუმმცოდნეობის“ სასწავლო კურსის თემატიკა და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის მიზანთან;
13. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება“ სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული ლიტერატურა დამხმარე ლიტერატურიდან გადმოტანილ იქნას ძირითადი ლიტერატურის ნაწილში;
14. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა;
15. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის საფუძვლების“ მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოყვანილი იქნეს ერთმანეთთან კორელაციაში;
16. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „არქეოლოგიის საფუძვლები“, „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ და „კავკასიის არქეოლოგია“ შეტანილი იქნეს ცვლილებები და ენეოლითიდან გვიანი ბრინჯაოს ხანის ჩათვლით თემატიკის გადაფარვა იქნეს გასწორებული;
17. რეკომენდებულია გასწორდეს სასწავლო კურსის „ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ დასახელება სილაბუსში;
18. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ დასახელება, მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან კორელაციაში.
19. სასწავლო კურსი „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ ორ ნაწილად დაყოფა, რაც გულისხმობს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ეპოქის ქვის და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის ცალე სასწავლო კურსებად ჩამოყალიბებას;
20. რეკომენდებულია პროგრამაში შეტანილი იქნეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის ისეთი მნიშნელოვანი სასწავლო კურსი, როგორიცაა არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკა. ეს სასწავლო კურსი რეკომენდირებულია პროგრამაში წინ უსწრებდეს „საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის“ პირველ ნაწილს.

რეკომენდებულია ამ კურსს უძღვებოდეს საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი ან ის აკადემიური პერსონალი რომელიც აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პრაქტიკაში;

21. რეკომენდებულია სასწავლო კომპონენტის „საველე-არქეოლოგიური პრაქტიკა“ რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი ორ ნაწილად გაერთიანება. ან მოიძებნოს არქეოლოგიის პროგრამისთვის სხვა მისაღები ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს არქეოლოგიური გათხრების და არქეოლოგიური დაზვერვების პრაქტიკის განხორციელებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და არა მისგან განცალკევებით. რეკომენდებულია ამავე სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მიეთითოს ლიტერატურა რომლის საფუძველზეც რომლის საფუძველზეც ხორციელდება სილაბუსში აღნიშნული „ძირითადი მეთოდების და წესების ახსნა“;
22. რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების სრულყოფილად განხორციელება პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

რჩევები:

- სასურველია სწავლის შედეგების განსასაზღვრად და პროგრამის სპეციფიკის გასააზრებლად მომზადდეს ბაზრის კვლევა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის განმახორციელებლების ჩართულობით, პოტენციურ დამსაქმებელთა რეალური საჭიროებების გამოსავლენად;
- სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- სასურველია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად რეგულარულად ხდებოდეს დამსაქმებელთა გამოკითხვა, და ამ გამოკითხვებით, დგინდებოდეს თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა;
- სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- სასურველია პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკის კომპონენტში მომზადდეს პრაქტიკის დეტალური აღმწერი და თანამშრომლობის მახასიათებელი;
- სასურველია წარმოდგენილი იყოს მემორანდუმებში დეტალურად პროგრამით გათვლისწინებული შედეგების აღმწერი და თანამშრომლობის შინაარსი;
- სასურველია, სწავლა კურსს ეწოდოს „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება“;
- სასურველია, რომ სასწავლო კურსების: „საქართველოს ისტორია I, II და III“ დასახელებაში დაკონკრეტებული ყოფილიყო საქართველოს ისტორიის ცალკეული შესასწავლი მონაკვეთის ქრონოლოგიური ჩარჩო, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ის პერიოდები, რომელთა შესწავლას გულისხმობს კონკრეტული სალექციო კურსი;
- უნივერსიტის მიერ განხორციელებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს სასურველია ყურადღება უფრო გამახვილდეს კვლევების არადესტრუქციულ მეთოდებზე;
- სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. სასურველია, მაგალითად საქართველოს ისტორიის ნარკვევები I. თბ. 1970 ის ამოღება და თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს დამატება. ეს მინიშვნელოვანი იქნებოდა მაგალითად I-VII სალექციო თემებთან კავშირში;
- სასწავლო კურსში „ეკონომიკის ისტორია“ სასურველი იქნებოდა უფრო მეტი დროის დათმობა პრეისტორიული ხანის თემატიკისთვის;
- სასწავლო კურსში „მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზები და საქართველო“ სასურველი იქნებოდა პრეისტორიული ხანის განხილვაც;

- სასწავლო კურსში წინარე „ქრისტიანული ხანის ტორევტიკა“ იმ სალექციო თემებში რომლებიც ეხება თრიალეთის კულტურის ტორევტიკის ნიმუშებს, სასურველია თუნდაც პარალელების სახით განხილულ იქნეს ასევე სომხეთში აღმოჩენილი ამავე კულტურის კუთვნილი ტორევტიკის ნიმუშებიც;
- სასურველია სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია“ სასურველია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მონაცემების სრულყოფა;
- სასურველია სასწავლო „კურსში პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ დაზუსტდეს IX სალექციო თემაზე მითითებული ლიტერატურის გვერდები და XVI სალექციო თემა;
- სასურველია ლიტერატურის ჩამონათვალის დანომვრა სასწავლო კურსში ქართული დიპლომატიის ისტორია;
- სასურველია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არქეოლოგიის მიმართულებით;
- სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს უახლეს დარგობრივ და პროფესიულ გამოცემებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაძლიერება.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მხრიდან) ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა (ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2 -ის (ლლუ2) მხრიდან) Tourism (Ivane Javakhishvili Tbilisi State Univeristy) Tourism and Cultural Heritage (Lumier Lyon 2 University)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2; Ivane Javakhishvili Tbilisi State Univeristy; Lumier Lyon 2 University
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება #237; 10. 12.2019

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი (თსუ) ტურიზმი და კულტურული მემკვიდრეობა (ლლუ2)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის მაგისტრი (თსუ-ს მხრიდან) Master in Tourism (from TSU side) ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი (ლლუ2-ს მხრიდან) Master in Tourism and Cultural Heritage (from LLU2 side)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, უნივერსიტეტის ქ. 2, თბილისი, თსუ X (მაღლივი) კორპუსი, 0186. საქართველო. Université Lumière Lyon 2Campus Berges du Rhône 18 quai Claude Bernard F69365 Lyon Cedex 07, Lyon, France.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნინო ღაღანიძემ, მამუკა ხუსკივაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, ირაკლი კორძაია მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამამ პირველი აკრედიტაცია 2019 წელს გაიარა და ახლა წარმოდგენილია რეაკრედიტაციისთვის. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა 2023 წლის 26 ივნისს, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ადგილზე იმყოფებოდნენ ექსპერტთა ჯგუფის სამი წევრი და თან ახლდნენ ცენტრის წარმომადგენლები. დოქტორი რონგ ჰუანგი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ყველა შეხვედრას (გარდა დაწესებულების დათვალიერებისა) დაესწრო ზუმის სპეციალური ლინკის მეშვეობით, რომელიც უნივერსიტეტმა მიაწოდა. დაწესებულებაში ვიზიტისას განხორციელდა მატერიალური რესურსების დათვალიერება, მოეწყო შეხვედრა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანთან, ფრანგულ - ქართული უნივერსიტეტის კოორდინატორთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მე-4 სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 1-ელ სტანდარტთან მიმართებაში ექსპერტთა ჯგუფის შეხედულებით, გაუმჯობესებას საჭიროებს სტანდარტი 1.3, 1.4, და 1.5. შესაბამისად, ეს სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მე-2 სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს 2.2 ქვესტანდარტი პრაქტიკული სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, შესრულებული და ტრანსფერული უნარების განვითარება. მე-3 სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა ქვესტანდარტი 3.2 მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა ხელმძღვანელობა საჭიროებს გაუმჯობესებას. მე-5 სტანდარტი სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა ქვესტანდარტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განახლება საჭიროებს განახლებას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და გასაუბრების შედეგად გაიცა რეკომენდაციები. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა გადაიხედოს და სათანადოდ განხორციელდეს, კერძოდ ისე, როგორც სამაგისტრო პროგრამის ხასიათს შეესაბამება. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამის სტრუქტურა უნდა გაუმჯობესდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტებისა და პროფესიული პრაქტიკის ლოგიკური ორგანიზება და შინაარსის ლოგიკური განვითარება. მესამე რეკომენდაციის მიხედვით, სხვადასხვა კურსების ლიტერატურის წყაროებად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალი ლიტერატურული მასალები (კერძოდ, ავტორიტეტული აკადემიური ჟურნალის სტატიები). მეოთხე რეკომენდაციის მიხედვით, დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ან/და მათი დანართები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. მეხუთე რეკომენდაციის მიხედვით, კათედრის და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება ისეთ ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ სტუდენტთა პრაქტიკა/სტაჟირებას და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მეექვსე რეკომენდაციის მიხედვით, მეტი ყურადღება უნდა

მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონის შესაბამისი კვლევების განხორციელების ნაწილში. მეშვიდე რეკომენდაციის მიხედვით, პროგრამის გუნდმა უნდა განავითაროს თანამშრომლობითი პროცესი, რის შედეგადაც დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ განხილვაში, რითაც პროგრამის სუსტი მხარეების აღმოფხვრა უფრო ეფექტური გახდება. მერვე რეკომენდაციის მიხედვით, უნდა მოხდეს ერთობლივი პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან და განხორციელდეს საუკეთესო პრაქტიკა პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით. ირაკლი კორძაიამ საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის ამოცანები ასახავს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უნიკალურ მახასიათებლებს. გარდა ამისა, ორენოვან გარემოში, პროფესიულ მომზადებასთან ინტეგრირებული სწავლება არის საუკეთესო პრაქტიკა იმისათვის, რომ სტუდენტს ჰქონდეს ორენოვანი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, იოსებ ხელაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გარე დაინტერესებულ მხარეებში იგულისხმება კურსდამთავრებულები, რომლებმაც პროგრამა 2022 წელს დაამთავრეს და ჯერ კიდევ არ აქვთ აღებული დიპლომი. კურსდამთავრებულთა ნაწილი საფრანგეთში და საქართველოში სწავლობს და დასაქმებულია. დამსაქმებელთან ურთიერთობა და კურსდამთავრებულის ჩართულობა სამუშაო პროცესში ხორციელდება თვითშეფასების ჯგუფისა და დარგობრივი კომიტეტის ფარგლებში. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია კვლევის მეთოდები, რომლებსაც წინაპირობები გააჩნია და მათი შესრულების გარეშე სტუდენტი კურსს ვერ დახურავს. ათ საგანში სტუდენტი გადის სწავლის შედეგზე. პროგრამის სტრუქტურა ისეთია, რომ სტუდენტი კვლევის მეთოდის სწავლის შემდეგ ცალკეულ საგნებში სწავლობს ამ კვლევის მეთოდების გამოყენებას სხვადასხვა სფეროებში. სტუდენტთა წარმატებას კვლევით კომპონენტში ადასტურებს ის ფაქტი, რომ მათ მოწინავე ადგილები დაიკავეს გლობალურ კონკურსში, რომელიც ჩატარდა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლიტერატურის და დამატებითი წყაროების განახლება ყოველწლიურად ხდება, თუმცა მისი ასახვა არ ხდება სილაბუსებში. მაგალითად, 2021 წელს თუ ჩატარდა კვლევა და დაიბეჭდა სტატია ავტორიტეტულ ჟურნალში აისახება სილაბუსებში, თუმცა თუ 2022 წელს გამოიცემა სტატია იგივე თემაზე 2021 წლის სტატია იქნება ძველი იმიტომ, რომ ახალ სტატიაში განზოგადებულია სტატისტიკური მონაცემები, პროცესები სრულფასოვნად არის წარმოდგენილი და ა.შ. უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და ახლო მომავალში გამოასწორებს. იოსებ ხელაშვილმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეკომენდაციას იზიარებს დაწესებულება და მემორანდუმებში აისახება სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს საკმარისი რაოდენობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარებაში. უნივერსიტეტს მემორანდუმი გაფორმებული აქვს სასტუმროების, გიდების, ეკოტურიზმის და კულინარიული ტურიზმის ასოციაციასთან. გარდა ამისა, მოქმედებს პრაქტიკა საფრანგეთში ლიონ 2-ის სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტების მიხედვით, სტუდენტს აქვს ფართო არჩევანი იმისა, რომ აირჩიოს კომპანია, სადაც ის გაივლის სტაჟირებას, თუმცა არსი შემთხვევები როდესაც სტუდენტს არ აწყობს ის პირობები, რომლებსაც სთავაზობს დამსაქმებელი, კერძოდ არ უხდის ბინის გადასახადს და შესაბამის ანაზღაურებას. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ლიონ 2-ი აღიარებს ქართული პროგრამის სასწავლო კურსებს, რომლის შესახებ

ინფორმაციას ითვალისწინებს უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. სამაგისტრო ნაშრომის დაცვას ლიონ 2-ი უწოდებს პრაქტიკის დაცვას. უნივერსიტეტი შეეცადა, რომ პრაქტიკის დაცვაში ლიონ 2-ს მეტი კვლევითი კომპონენტები დაენერგათ ვიდრე ტრადიციულად გააჩნიათ. სილაბუსი, რომელიც ეხება საგანმანათლებლო სადიპლომო ნაშრომს, მასში პირდაპირ არის მითითებული, რომ სტუდენტის მიერ უნდა იქნეს მიღწეული პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევითი უნარების დამოუკიდებელი გამოყენება. თსუ-ს დიდი პრაქტიკა აქვს ორმხრივი პროგრამის განვითარებაში, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის ხედვაში. დაწესებულების წარმომადგენელმა სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გარე მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამამ 2019 წელს გაიარა აკრედიტაცია, ხოლო 2020-2021 წლიდან პროგრამამ დაიწყო ფუნქციონირება. კურსდამთავრებულები გარე პროცესში ჩაერთვებიან მაშინ, როდესაც ისინი დაიწყებენ მუშაობას. ჯერ-ჯერობით ეს ვერ განხორციელდება, თუმცა პირდაპირი და ირიბი შეფასების რუკაში წარმოდგენილია გარე პროცესში ჩართულ პირებს. იმისათვის, რომ პროგრამამ შეიცვალოს სტრუქტურა, აუცილებელია მას ჰქონდეს დიდი პრაქტიკა. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტის ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა 2 წელია რაც ფუნქციონირებს. შესაბამისად, ამჟამად პროგრამის სტრუქტურის შეცვლა არის ნაადრევი. 10 სასწავლო კურსში ინტეგრირებულია კვლევის კომპონენტები და ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტმა კარგად გაითავისოს საკვლევი მასალა. მისი თქმით, დაწესებულება მე-7 რეკომენდაციას აღიქვამს როგორც რჩევად იმიტომ, რომ პროგრამა არის ახალი და საჭიროებს დაკვირვებას. შესაბამისად, ყველა რეკომენდაცია, რომელიც გაიცა პროგრამის განვითარების მიზნით დაკვირვების შედეგად გამოსწორდება ახლო მომავალში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ლუმიერის უნივერსიტეტის წარმომადგენელს, მოკლედ წარმოედგინა უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით ინფორმაცია.
ლუმიერის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, საბრინა ფაგუამ განაცხადა, რომ ასწავლის ფრანგულ ენას „ტურიზმის“ ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. ორი წელია ჩართულია პროგრამაში სტუდენტებთან, რომლებიც ავლენენ მაღალ ცოდნას ფრანგულ ენაში და იმედოვნებს, რომ ისინი საფრანგეთში გამგზავრებიან და „ტურიზმის“ მიმართულებით გააგრძელებენ სწავლას.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:42
დასრულების დრო: 18:54
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.
ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე საბჭოს სამმა წევრმა ვერ მიიღო ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2-ის "ტურიზმის" ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2030 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გარე დაინტერესებულ მხარეთა (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები ა.შ.) ჩართულობა უნდა გადაიხედოს და სათანადოდ განხორციელდეს, კერძოდ ისე, როგორც სამაგისტრო პროგრამის ხასიათს შეესაბამება;
2. პროგრამის სტრუქტურა უნდა გაუმჯობესდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტებისა და პროფესიული პრაქტიკის ლოგიკური ორგანიზება და შინაარსის ლოგიკური განვითარება;
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი“, და „ტურების მოდელირება და მართვა“ სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის საფეხურთან;
4. სხვადასხვა კურსების ლიტერატურის წყაროებად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალი ლიტერატურული მასალები (კერძოდ, ავტორიტეტული აკადემიური ჟურნალის სტატიები);
5. დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ მემორანდუმები ან/და მათი დანართები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.
6. კათედრის და ფაკულტეტის ადმინისტრაციამ მოახდინოს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება ისეთ ეკონომიკურ აგენტებთან/სახელმწიფო სტრუქტურებთან, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ სტუდენტთა პრაქტიკა/სტაჟირებას და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
7. რეკომენდებულია, მეტი ყურადღება მიექცეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, განსაკუთრებით მაგისტრატურის დონის შესაბამისი კვლევების განხორციელების ნაწილში;
8. პროგრამის გუნდმა უნდა განავითაროს თანამშრომლობითი პროცესი, რის შედეგედაც დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები) მონაწილეობას მიიღებენ პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ განხილვაში, რითაც პროგრამის სუსტი მხარეების აღმოფხვრა უფრო ეფექტური გახდება;
9. უნდა მოხდეს ერთობლივი პროგრამის პერიოდული შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან და განხორციელდეს საუკეთესო პრაქტიკა პროგრამის შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით.

რჩევები:

- პროგრამის სწავლის შედეგების, კერძოდ 1, 2 და 3 სწავლის შედეგის აღწერისთვის უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი ზმნები, ისე რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდეს მეშვიდე საფეხურის სტანდარტის შესაბამისად;

- პროგრამის ჯგუფმა უნდა გააუმჯობესოს თანამშრომლობა გარე დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოს რომ პროგრამის შემუშავება იყოს რეალურად კოლაბორაციული პროცესი, არამხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის, არამედ პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის;
- სასურველია „ტურიზმის“ ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის საგანში ,,ტურიზმი“, საკითხების ჩამონათვალს დაემატოს მენეჯმენტის და მარკეტინგის საკითხები;
- კურსის ყველა სილაბუსი უნდა შეიცავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ინფორმაციას, რაც შეახსენებს სტუდენტებს დაიცვან შესაბამისი წესები და რეგულაციები, რომ უზრუნველყონ აკადემიური კეთილსინდისიერება საკუთარ ნაშრომებში;
- სასურველია ამ ერთობლივ პროგრამაში ორივე პარტნიორმა (თსუ და ლლუ2) იმუშაოს ერთად, რათა უზრუნველყონ სტუდენტების თანმიმდევრული მხარდაჭერა და ერთობლივი პროგრამის სტუდენტებისთვის შეუფერხებელი გადასვლა;
- პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა იმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რათა ქართული და ფრანგულენოვანი კურსების სილაბუსებში შეტანილი იყოს თანმიმდევრული ინფორმაცია და სტუდენტებს ჰქონდეთ თანმიმდევრული გამოცდილება ძირითადი სასწავლო მასალების მიღებისას;
- პროგრამა თავის ბიუჯეტში უნდა მოიცავდეს შემოსავლის დამატებით წყაროებს, რათა უზრუნველყოს პროგრამის ხანგრძლივი ფინანსური მდგრადობა;
- აუცილებელია პროგრამის ჯგუფმა უფრო პროაქტიურად და ინოვაციურად გაუწიოს პროგრამას პოპულარიზაცია ფრანგული ენის მცოდნე სტუდენტების მოსაზიდად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 04 ივლისის 18:55 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი